



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 115

2017 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში  
გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის შეფასების  
პირველ ეტაპზე გამოვლენილი საუკეთესო შეფასების მქონე პროექტების დამტკიცების  
შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში  
გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ  
დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების  
მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის  
28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“  
ქვეპუნქტისა და „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის  
ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის  
გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების  
დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 31 მარტის N22 ბრძანებით  
დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე და სსიპ  
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო  
გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის  
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის  
(N954092, 17.08.2017) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის  
ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის  
კონკურსის შედეგად პროექტების შეფასების პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ  
ადგილობრივ ექსპერტთა მეშვეობით საუკეთესო შეფასების მქონე 25 პროექტი ამ  
ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას დანართით გათვალისწინებული პროექტების მტკუ-ში გადაგზავნის უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

